ხელშეკრულება №314/18-5

(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. ზუგდიდი „---13---„-----06-------„ 2018 წ.

1. შპს „ენგურჰესი", შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი - ფინანსური დირექტორის- ზვიად კილასონიას, რომელიც მოქმედებს კომპანიის წესდების შესაბამისად და შპს „ქირსა", შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად" წარმოდგენილი დირექტორის ვლადიმერ გვანცელაძეს სახით, რომელიც ასევე მოქმედებს კომპანიის წესდების შესაბამისად, მეორეს მხრივ გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვების ჩატარების წესის მე-2 მუხლის ა პუნქტის თანახმად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1„შემსყიდველი" ავალებს, ხოლო „მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს საკუთრებაში – დანართ #1-ში მითითებული დასახელებისა და ოდენობის საქონელი .

2.2 კლასიფიკატორის კოდები: (CVP-44521210)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 სახელშეკრულებო თანხა შეადგენს: 50 (ორმოცდაათი) ლარს და 1 თეთრს. ერთეულის ფასი მითითებულია დანართ N1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც საქონლის ღირებულებას ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობებით წაკისრი ვალდებულებების შესრულება.

ბ) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება.

5. ინსპექტირება

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ინსპექტირების განხორციელების დროს.

5.2 ინსპექტირებას განახორციელებს: შპს „ენგურჰესი"-ს შესყიდვებისა და მომარაგების სამსახურის ექსპედიტორი - კ. გოგობია.

5.3 შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების წებისმიერ ეტაპზე.

6 საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელიც ფორმდება წერილობითი ფორმით. მიღება-ჩაბარების აქტს ადგენს მუდმივმოქმედი კომისია. საქონლის საბოლოო მიღების ადგილზე, შპს "ენგურჰესი"-ს სასაწყობე მეურნეობაში.

7 ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა -უნაღდო.

7.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება ჩიდება-ჩაბარების აქტის ვაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვეული მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

9. ხელშეკრულების პირობების შეკრულება

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.2 წინამდებარე ხელშეკრულების 7.2. პუნქტით განსაზღვრული ვადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2 თუ რამე წინაპირ ვაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10. დავების გადაწყვეტა

10.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

10.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5(ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.

11.2 ხელშეკრულებების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დარჩენილი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

13. ფორს-მაჟორი

13.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებისა და დაუდევრობისაგან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს- მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოებების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივ შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან

14. სხვა პირობები

14.1 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს მეორე კი შემსყიდველს.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
შპს "ენგურჰესი"	შპს „არ.ზე"
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი,	იურიდიული მის. ქ. ზუგდიდი,
ა. პოლიტკოვსკაიას №8	ლევან II დადიანის N17
სს „ციხისი ბანკი ჯორჯია"	ს/კ 421272893
ბ/კ 220101929 ს/კ 251716371	ბ/კ TBCBGE22
ა/ა GE97VT6600000003403403	GE40TB7055136080100014
ფინანსური დირექტორი	დირექტორი
ზ. კილასონია	ბ. გვანცელაძე

დანართი №1

საქონლის დასახელება

№	საქონლის დასახელება	განზ	რაოდ	ერთ. ფასი	საერთ. ფასი
1	კარის გული მაღაზიის ვარიანტი KALE	ცალი	2	9,86	19,72
2	კარის სახელური მაღაზია თეთრი	ცალი	2	6,41	12,82
3	ზარელი	ცალი	2	7.50	15,00
4	კარის დედალი რეგულირებადი დიდი	ცალი	2	1.24	2.47
	ჯამი:				50,01

შემსყიდველი
შპს "ენგურჰესი"
ფინანსური დირექტორი
ზ. კილასონია

მიმწოდებელი
შპს "ქირსა"
დირექტორი
პ. გვანცელაძე

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

..--13---,,--------06----------" 2018 წ.

ვადასტურებთ, რომ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, №314/18-5 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებით, შპს "ქიოსა"-სთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

შპს "ენგურჰესი"-ს ფინანსური დირექტორი ზ. კილასონია

შპს ,,ენგურჰესი"-ს შესყიდვებისა და მომარაგების სამსახურის ექსპედიტორი კ. გოგოხია.

შპს ,,ენგურჰესი''-ს შესყიდვებისა და მომარაგების სამსახურის უფროსი ვ. მოლაშხია